სახელმძღვანელო ენერგეტიკულ პროექტების გენდერული ასპექტების შეფასებისთვის

თბილისი, 2016

სახელმძღვანელო მომზადდა მწვანე ალტერნატივას პროექტის „გენდერული საკითხები ენერგოსექტორის განვითარებაში“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია The Both ENDS ფინანსური მხარდაჭერით.

სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს The Both ENDS შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2016

სარჩევი

შესავალი 4
ენერგეტიკა და გენდერი 4
ენერგეტიკული პროექტების ზემოქმედება გენდერზე 5
გენდერული ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტი 7
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები გენდერთან მიმართებაში 5
ბოლოსიტყვაობა 9

პროექტის გენდერული შეფასების კითხვარი ყველა ტიპის ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტისთვის 10
1. გენდერული საკითხების ინტეგრირება პროექტის ყველა ეტაპზე 10
2. კითხვარი პროექტების მართვაში გენდერული ინტეგრაციის ხარისხის შეფასებისთვის 13
2.1 პროექტის განმახორციელებელი კომპანიის პოლიტიკა 13
2.2 მიწასთან და იძულებით განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები 14
2.3 მშენებლობის ზემოქმედების შეფასების კითხვარი 16
3. ენერგეტიკის სექტორის პროექტის გენდერული ზემოქმედების შეფასების კითხვარი 19

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ქალთა ჯგუფებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სამოქალაქო აქტივისტებისთვის, რათა მათ ადვილად შეძლონ გენდერული ასპექტების შეფასება სხვადასხვა ტიპის ენერგეტიკულ პროექტებში.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ადვილია გენდერული ზემოქმედების იდენტიფიცირება პროექტის დაწყებისას, ხოლო სხვა შემთხვევებში მნიშვნელოვანია საპროექტო დოკუმენტაციის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის დეტალური ანალიზი პოტენციური ზემოქმედების გამოსავლენად. ნებისმიერ პროექტს რომელსაც გააჩნია გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება აქვს გენდერული ზემოქმედება, მნიშვნელოვანია ამ ზემოქმედების დროული დანახვა და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება.

სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება, პირველი ნაწილი განიხილავს ენერგეტიკასა და გენდერს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, გენდერული ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტის არსს, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელო მითითებს პროექტების გენდერული ზემოქმედების ანალიზისთვის.

ენერგეტიკა და გენდერი

ენერგეტიკა ტექნოლოგიური სფეროა და მამაკაცების დომინირების სფეროდ ითვლება[1]. საზოგადოების სტერეოტიპული წარმოდგენების შედეგად, სექტორში დასაქმებული ქალების როლი პრაქტიკულად მარგინალურია, ისევე როგორც იმ ქალთა რიცხვი რომელთა პროფესია დაკავშირებულია ენერგეტიკასთან (მეცნიერული, გადაწყვეტილების მიმღები, საინჟინრო და სხვ.) ყველაფერი ეს ქმნის სექტორში პროექტების განხორციელებისა და დაგეგმვის პრაქტიკას, სადაც ქალთა მონაწილეობა პრაქტიკულად უგულებელყოფილია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქალებსა და მამაკაცებს სხვადასხვა ენერგეტიკული საჭიროებები გააჩნიათ, რაც გამომდინარეობს როგორც განსხვავებული საყოფაცხოვრებო როლებიდან, ასევე კრიზისების დროს პასუხებისა და დაძლევის მექანიზმების სხვაობით. შესაბამისად, ქალების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აქტიური ჩართულობის გარეშე შესაძლებელია მივიღოთ პროდუქტები, რომლებიც არ პასუხობს არსებულ საჭიროებებს და ხშირ შემთხვევაში იწვევს ძალაუფლების გადანაწილებას, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში და რიგ შემთხვევებში ზრდის უსამართლობას.

მნიშვნელოვანია, გენდერულად მგრძნობიარე ენერგეტიკული პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, რაც შეესაბამება როგორც კაცების, ასევე ქალების საჭიროებებს. გენდერული თანასწორობის ზრდა ენერგეტიკის სექტორში უნდა მოხდეს ენერგოპოლიტიკის ჩამოყალიბების ადრეულ სტადიებზე, ასევე კონკრეტული პროექტების დაგეგმვისას. ამ ყველაფერს შესაძლებელია მოჰყვეს მთელი რიგი უარყოფითი შედეგები, მაგ. ენერგიის ხელმისაწვდომობის (მზარდი ტარიფები ელექტროენერგიაზე, შეშის ხელმისაწვდომობა) პრობლემა უფრო მეტად მოქმედებს ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე. ხოლო გენდერული ფაქტორების გაუთვალისწინებლობამ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მკვეთრად გაზარდა სიღარიბის ფემინიზაცია, რასაც თან დაერთო მამრობითი სქესის მუშახელის მიგრაცია და პროექტებისაგან დაზარალებული მოსახლეობის ფიზიკური თუ ეკონომიკური იძულებითი განსახლება[2].

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ქალები უდიდესი უმრავლესობა, დასაქმების შემთხვევაშიც, სრულად პასუხისმგებელია შიდა მეურნეობის

[1] http://unohrlls.org/custom-content/uploads/2016/10/4.-ECREEE-Situation-Analysis-of-Energy-and-Gender-Issues-full-report.pdf

[2] The Feminisation of Poverty in Transition Countries: Evidence from Subjective Data, http://miau.gau.hu/osiris/content/docs/fao_seminar/women/feminizationofpovertyppr.13A.SVS.pdf

წარმართვაშიც. რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის, ხშირად, ეს გამოიხატება არა მხოლოდ საჭმლის მომზადებაში, აგრეთვე შეშის ან სხვა საწვავის შეგროვებაში. იმის გათვალისწინებით, რომ შენობის შიდა დაბინძურება საჭმლის მომზადებისას შეშის ღუმელში მძიმედ აისახება ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობაზე[3]. ეს პრობლემა საკმაოდ მძიმეა საქართველოშიც, სადაც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოიხმარს შეშას საჭმლის მომზადებისა და გათბობის მიზნით[4].

შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ ენერგეტიკული პოლიტიკის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების გენდერული განზომილება სრულად იყოს შესწავლილი და წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ენერგიის მოხმარებისა და წარმოების ზემოქმედება ქალებისა და კაცების ჯანმრთელობაზე განსახვავებულია, შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ტიპის დაავადებები. გაუმჯობესებულმა ხელმისაწვდომობამ ენერგოსერვისებზე შესაძლებელია შეამციროს უთანასწორობა ქალებსა და კაცებს შორის, მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის, ასევე სხვა ჯგუფებს შორის, რაც პოზიტიური შედეგია. თუმცა ფინანსურ რესურსებზე და მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, ქმნის სიტუაციებს, რის შედეგადაც ქალებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ მდგრად ენერგიასა და ენერგოეფექტურობის სერვისებზე.

ამ წინააღმდეგობის გადასალახავად მნიშვნელოვანია, ისეთი ენერგოპოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობას ამ სექტორში. სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი ხელს უწყობს, ენერგო პოლიტიკის ჩამოყალიბების მწვავე საკითხების განსაზღვრას, პოლიტიკის ალტერნატივების შემუშავებას, გადაწყვეტილების მიღებისას სწორი არჩევანის გაკეთებას, პოლიტიკის წარმატებულ განხორციელებას.

ენერგეტიკულ პროექტებში გენდერული მეინსტრიმინგის მიზანია:

- ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკისა და პოლიტიკური ინსტრუმენტების შემუშავებისას, რათა ენერგიის წარმოების არსებული მოდელი ჩანაცვლდეს მდგრადი ენერგიის მოდელით;
- ენერგიის წარმოებისა და მოხმარებისას გენდერული ზემოქმედების გავლენის შერბილება და ცხოვრების ხარისხის ზრდა;
- ქალებისა და მამაკაცებისთვის ახალი შესაძლებლობების იდენტიფიცირება დასაქმებისა და შემოსავლების კუთხით განახლებადი ენერგიების და ენერგოეფექტურობის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით;
- ქალებისა და მამაკაცებისთვის თანასწორი შესაძლებლობების არსებობა ენერგიის წარმოებისა და მოხმარების, გარემოს დეგრადაციას შორის კავშირების, არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით.

ენერგეტიკული პროექტების ზემოქმედება გენდერზე

სხვადასხვა ტიპის ენერგეტიკული პროექტების გენდერული ზემოქმედება განსხვავებულია. შესაბამისად, წარმოუდგენელია საუბარი რაღაცა ერთი ტიპის გენდერულ ზემოქმედებაზე. არსებობს ზემოქმედება, რომელიც ახასიათებს თითქმის ყველა ტიპის დიდ ენერგეტიკულ პროექტებს და შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს საზოგადოებაში და ოჯახებში ძალთა გადანაწილებაზე. ზოგ ენერგეტიკულ პროექტს შესაძლებელია უფრო მეტი ზეგავლენა ჰქონდეს მოსახლეობაზე (მაგ.

[3] საქართველოში სიკვდილიანობა თანახმად, ატმოსფერული და ჰაერის შიდა დაბინძურების შედეგად შეადგენს დაახლოებით 300-ს, ყოველ 100000 კაცზე, https://www.weforum.org/agenda/2016/07/these-countries-are-affected-most-by-air-pollution/.

[4] სათბობი შეშის მოთხოვნა მიწოდებისა და პოტენციალის შეფასება, CENN,

ჰიდროენერგეტიკა, მილსადენები, ნავთობისა და გაზის მოპოვება და ა.შ.), ხოლო ნაწილს ნაკლები (მაგ. მზის და ქარის ენერგეტიკა).

განსაკუთრებით, პრობლემატურია დიდი ენერგეტიკული პროექტების ზემოქმედება გენდერზე და მასთან დაკავშირებულ ასპექტებზე.

კაშხლების მსოფლიო კომისიის კვლევებით დადგენილია, რომ რეზერვუარების და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობამ შესაძლოა არაპროპორციული გავლენა იქონიოს ქალებზე და კაცებზე. „დაგეგმვის პროცესის გენდერული სიბრმავის შედეგად, დიდი კაშხლების პროექტები ძირითადად გენდერულ ურთიერთობებში არსებულ დისბალანსს ეფუძნება. კაშხლებმა შესაძლოა მეტი გენდერული უთანასწორობა გამოიწვიოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებში, ქალებზე სოციალური ხარჯების არაპროპორციული წილის დაკისრებით, ან სარგებლის უსამართლო გადანაწილების გზით“[5].

დიდი მშენებლობები, მათ შორის კაშხლები, მილსადენები, დისპროპორციულად ახალისებს მამაკაცების დასაქმებას. ქალები და კაცები ტიპურად შემოსავლებს სხვადასხვანაირად ხარჯავენ, შესაბამისად შემოსავლებისა და დასაქმების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ინვესტიციებზე ჯანმრთელობაში, საკვებში და განათლებაში. თუმცა უფრო ხშირად დამატებითი ფინანსური რესურსების გაჩენა, აძლიერებს მამაკაცის როლს ოჯახში, ზრდის დაძაბულობას და ძალადობას[6].

მუშათა ბანაკების გაჩენამ დასახლებულ პუნქტებთან, სადაც ძირითადად ჩამოსული მამაკაცები ცხოვრობენ შესაძლოა გამოიწვიოს ქალებთან მიმართებაში ძალადობის, ასევე ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის, სექსუალური გზით გადამდები დაავადებების, მათ შორის აივ ინფექციის და შიდსის ზრდა.

ხშირად იმიგრანტი მუშები არღვევენ თემების მთლიანობას ახალი ტრადიციების, რელიგიების თუ სოციალური ჩვევების შემოტანით, ასევე ზრდიან ადგილობრივ სერვისებზე (ჯანდაცვის ობიექტები, პოლიცია,) საცხოვრებელზე და ინფრასტრუქტურაზე ზეწოლას. მართალია, ამ შემთხვევაში ზემოქმედება კაცებზე და ქალებზე თანაბარია, მაგრამ ქალები უფრო მეტად განიცდიან ხოლმე, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საკითხებს, მაგ. ოჯახისთვის ჯანდაცვის მომსახურეობის უზრუნვეყლყოფა[7].

გენდერული ფაქტორების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, პრობლემები შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე მიწის კომპენსაციის დროს. მთელ რიგ ქვეყნებში, მიწა, რომელსაც იყენებენ კომპანიები, როგორც წესი ეკუთვნის და რეგისტრირებულია მამაკაცებზე, რის შედეგადაც ხშირად ქალები იჩაგრებიან და ვერ ღებულობენ სამართლიან ანაზღაურებას.

აგრეთვე, ხშირად ლიმიტირებულია ქალების მონაწილეობა საზოგადოების მონაწილეობის პროცესში. ერთის მხრივ, ეს შეიძლება განპირობებული იყოს თემის სოციალურ-კულტურული თავისებურებით, მაგ. ეთნიკურ უმცირესობებში ქალების მონაწილეობა საჯარო განხილვებში შესაძლებელია შეზღუდული იყოს თემში არსებული ტრადიციებით[8]. თუმცა მეორეს მხრივ, ქალთა მონაწილეობა შესაძლებელია შეიზღუდოს ცუდად დაგეგმილი პროცესის გამოც[9], რის შედეგადაც ქალებმა უარიც კი შეიძლება განაცხადონ საჯარო შეხვედრებში მონაწილეობაზე.

[5] WCD 2000, p. 114

[6] BOOM TIME BLUES – Big Oil Gender Impact, http://www.genderaction.org/images/boomtimeblues.pdf

[7] Gender Dimensions of the Extractive Industries:, http://siteresources.worldbank.org/EXTOGMC/Resources/eifd8_gender_equity.pdf

[8] http://greenalt.org/news/case-study-gender-impacts-of-nenskra-hydro-power-plant/

[9] ნენსკრას case studies

გენდერული ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტი

თითოეული ენერგეტიკული პროექტის დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია გენდერული ანალიზის მომზადება, რომელიც შეისწავლის ზემოთ აღნიშნულ გამოწვევებს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი კუთხით.

ენერგოპროექტების განხორციელების საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს, თითოეული პროექტისთვის გენდერული ანალიზის/შეფასების მომზადებას, რომელიც ინტეგრირებულია გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების დოკუმენტში, რომელიც მზადდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში.

აღსანიშნავია, ისიც, რომ სხვადასხვა ტიპის ენერგეტიკული პროექტების ზემოქმედება ძირეულად განსხვავებულია. რაც უფრო დიდია პროექტის სოციალური ზემოქმედება მოსახლეობაზე (მაგ. კაშხლების პროექტი, რომლის შედეგადაც ხდება, ადამიანების იძულებითი გადასახლება), მით დიდია გენდერული ზემოქმედების მასშტაბიც.

გენდერული შეფასება გვეხმარება თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე დავიყვანოთ, შევამსუბუქოთ და შევარბილოთ უარყოფითი ზემოქმედება, ქალების გაძლიერებისა და მათი მონაწილეობის ხელშეწყობის, ასევე სარგებელზე სამართლიანი წვდომის და კონტროლის გზით.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს გენდერული ზემოქმედების შეფასების მაღალი ხარისხი, პროექტის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს:

1. მონაცემთა შეგროვება:
    - ფონური მონაცემები – სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემების სოციალურ–ეკონომიკური სტატუსის შესწავლა;
    - კონტექსტის, მათ შორის სოციალურ–ეკონომიკური სტატუსის კვლევა (სიღარიბის შეფასება, ადამიანის უფლებათა დაცვის შეფასება; კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემების კონტექსტის ანალიზი);
2. რისკების იდენტიფიციკაცია და ქალთა საჭიროებების კვლევა – იმ ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც გავლენას ახდენენ გენდერულ განსხვავებებზე, შრომის გადანაწილებაზე და ა.შ;
3. რეკომენდაციების შემუშავება და გენდერული სტრატეგიის მომზადება.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები გენდერთან მიმართებაში

ყველა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია (მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ა.შ), მოითხოვს გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასებაში გენდერული ზემოქმედების შეფასების ინტეგრირებას. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა არ უყენებს მსგავს მოთხოვნას პროექტის განმახორციელებლებს. ისევე როგორც, არ ითხოვს სოციალური ზემოქმედების შეფასების შესწავლას. თუმცა, საქართველოში თითქმის ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, განსაკუთრებით ენერგეტიკის სექტორში ხორციელდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით.

მსოფლიო ბანკი (World Bank), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ასევე საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD), ითხოვენ გენდერულ თანასწორების ხელშეწყობას, როგორც კონკრეტული პროექტების, ასევე რიგ შემთხვევებში საბიუჯეტო და სექტორალური დახმარების, აგრეთვე ტექნიკური დახმარების პროგრამების დაფინანსებისას.

მაგ. ADB–ის გენდერისა და განვითარების პოლიტიკის ძირითადი ელემენტები მოიცავს გენდერულ ანალიზს, გენდერულ დაგეგმარებას, მეინსტრიმინგს და გენდერული დღის წესრიგის განსაზღვრას. ADB–ს საქმიანობამ წევრ ქვეყნებში უნდა უზრუნველყოს გენდერის და განვითარების შესახებ ცნობიერების ზრდა და მიმართულია ქალთა სტატუსის გაუმჯობესებისკენ, ხოლო საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას, პროექტის განმახორციელებელმა სავალდებულოდ უნდა მოამზადოს გენდერული სამოქმედო გეგმა და განახორციელოს მისი მონიტორინგი. ADB–ს ევალება გაცემული სესხის მონიტორინგი და გენდერთან დაკავშირებული სარგებელის გამოვლენა.

მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია განხილავენ გენდერს, როგორც დამატებით დისკრიმინაციის ფაქტორს სხვადასხვა ჯგუფებისთვის. იმ შემთხვევებში, სადაც კანონმდებლობა და პრაქტიკა აქტიურად ჩაგრავს ქალებს და/ან სხვა ჯგუფებს, პროექტის განმახორციელებელს სთხოვენ ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დაცვას. შესაბამისად, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს გენდერულად მგრძნობიარე სოციალური ანალიზის მომზადება პროექტის შემუშავებისას.

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) გენდერული პრიორიტეტები საკმაოდ მოკრძალებულია, თუმცა კერძო სექტორის მიერ განხორციელებულ პროექტებში მოთხოვნილია გენდერული შეფასების ჩატარება. რაც გულისხმობს საჭიროებათა შესწავლას და ინვესტიციების გენდერული ზემოქმედების შეფასებას, ფონური სქესობრივად სეგრეგირებული მონაცემების შემუშავებას, გაზომვის ინდიკატორების და მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავებას.

EBRD–ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის თანახმად[10], გენდერთან დაკავშირებული ყველა პოტენციური რისკი და შესაძლებლობა, რომლებიც ენერგეტიკული პროექტების განვითარებასთან, მოდერნიზაციასა და ოპერირებასთან ასოცირდება, მკაფიოდ და სისტემატურად უნდა იქნეს იდენტიფიცირებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში“.

EBRD–ის გენდერული სახელმძღვანელოს[11] თანახმად, ნებისმიერი განვითარების პროექტის გენდერული ზემოქმედება განხილულ უნდა იყოს იმ შესაბამისობის სტანდარტის ფარგლებში, რომლებიც წინამდებარე საქმიანობის განხორციელებას ეხება. EBRD-ს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მართვის სტანდარტი (PR1) ასევე ეფუძნება ოთხ ძირითად პრინციპს, რომლის მიზანიცაა გენდერული ზემოქმედების სწორი შეფასება:

- გენდერული ცნობიერება – გენდერულად ნეიტრალური ზემოქმედება არ არსებობს;
- კონსულტაცია;
- მონაწილეობა;
- უფლებამოსილება.

ევროკავშირის კანონმდებლობა და პოლიტიკები მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა კრიტიკულ ასპექტს. გენდერული თანასწორობის ვალდებულებები გაბნეულია მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებში და ევროკავშირის დირექტივებში, მათ შორის თანაბარი ანაზღაურება, ხელმისაწვდომობა სამუშაოზე, ორსულობის და დედათა უფლებები, დეკრეტული შვებულება, სოციალური და შრომითი უსაფრთხოება და სხვა.

შესაბამისად, ევროკავშირი საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით, ასევე ავიღეთ ვალდებულება გენდერული თანასწორობის ელემენტების დანერგვისა ჩვენს კანონმდებლობაში. ხოლო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი 2014-2017 ხაზგასმით ითხოვს, „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებას და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფას“; იმისთვის,

[10] http://www.ebrd.com/who-we-are/our-values/environmental-and-social-policy/implementation.html%20

[11] http://www.ebrd.com/downloads/sector/gender/Gender_toolkit_matrix2.pdf

რომ ჩანაწერი განხორციელდეს, ყველა ინფრასტრუქტურულ თუ ენერგეტიკულ პროექტებს უნდა ჩაუტარდეთ გენდერული შეფასება და გაიწეროს კონკრეტული გზები გენდერული თანასწორების უზრუნველყოფისთვის.

საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილია 114 ჰიდროელექტროსადგურისა და რამდენიმე თბოელექტროსადგურის (მათ შორის ქვანახშირის) მშენებლობა. მოსახლეობის ნაწილისთვის ამ პროექტების განხორციელება მიუღებელია სხვადასხვა ფაქტორების (იძულებითი განსახლების, ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობაზე ზემოქმედების და სხვ.) გამო. ქალები, საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ საპროტესტო მოძრაობაში. მათ გააჩნიათ, საკმაოდ ბევრი არგუმენტი ენერგეტიკულ პროექტებთან მიმართებაში, თუმცა ეს ხმები ხშირად იკარგება და არ მიდის კომპანიებისა და მთავრობამდე.

შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო ჯგუფების მიერ პროექტების გენდერული ზემოქმედების შეფასება, ხელს შეუწყობს ერთის მხრივ, კონკრეტულ პროექტებთან მიმართებაში სიტუაციის გამოსწორებას და აგრეთვე ხელს შეუწყობს უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, როგორც საკანონმდებლო დონეზე ასევე პრაქტიკაში.

მნიშვნელოვანია, სისტემურად შევაფასოთ ენერგეტიკული პროექტები გენდერული თვალთახედვით და ვუზრუნველყოთ ქალთა წუხილებისა და მოსაზრებების ინტეგრირება საპროექტო დოკუმენტაციაში მათი კარდინალური ცვლილების ან ალტერნატივების განხორციელებისთვის. ენერგეტიკულ პროექტებში გენდერული ასპექტების ინტეგრირების შეფასებისას, უნდა შევაფასოთ პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპი - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება. აგრეთვე კონკრეტული ენერგეტიკული პროექტისთვის დამახასიათებელი გენდერული ზემოქმედება, კომპანიის მართვაში გენდერული ასპექტების ინტეგრირება და ა.შ.

ბოლოსიტყვაობა

რასაკვირველია არ გვაქვს პრეტენზია რომ ეს კითხვარები სრულად მოიცავს ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებულ ყველა რისკს. თუმცა გამოვთქვავთ იმედს, რომ მათ შეუძლიათ შეასრულონ გარკვეული გზამკვლევის როლი პროექტების გენდერული ზემოქმედების სისტემატიზირების თვალთახედვით, შემდგომში მათი ადვოკატირების მიზნით.

მწვანე ალტერნატივა მოხარული იქნება იმუშაოს ქალთა ჯგუფებთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტების გენდერული ასპექტების შეფასებისთვის, რათა მოვახერხოთ კონკრეტულ პროექტებთან მიმართებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა. ამასთან, იმედს ვიტოვებთ, რომ ერთობლივი მუშაობის შედეგად შევძლებთ ეს სტანდარტები დავგეგმოთ უკვე საკანონმდებლო დონეზე.

პროექტის გენდერული შეფასების კითხვარი ყველა ტიპის ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტისთვის

ქვემოთ მოცემული კითხვები დაგვეხმარება შევაფასოთ პროექტში გენდერული ასპექტების ინტეგრირება. ამ კითხვარით ქალებსა და მამაკაცებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპებში. შეფასდეს რამდენად შეესაბამება დაგეგმილი პროექტი საერთაშორისო კანონმდებლობას, როგორ არის შესწავლილი პროექტის შედეგად გენდერული ზემოქმედება, რა ღონისძიებებია შემუშავებული უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ქალთა გაძლიერებისათვის და მათი ჩართულობის ზრდისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში

1. გენდერული საკითხების ინტეგრირება პროექტის ყველა ეტაპზე

დაგეგმვის ეტაპზე (წინასაპროექტო დოკუმენტაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საფუძველზე)	**დიახ**	**არა**	**შენიშვები**
შეესაბამება, თუ არა პროექტი ადამაინის უფლებათა საერთაშორისო დაცვის კანონმდებლობას?			
არსებობს, თუ არა ქვეყნის გენდერული ანალიზი (შემუშავებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ან მთავრობის მიერ)? (დოკუმენტი უნდა აანალიზებდეს გენდერულ ურთიერთობებს, მათ დინამიკას და არსებულ უთანასწორობას პოლიტიკური, სამართლებრივი, გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული და/ან სოციალური თვალთახედვით)			
საპროექტო დოკუმენტაცია მოიცავს, თუ არა გენდერული უთანასწორობის შეფასებას?			
შეგროვებულია, თუ არა სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემები და გაანალიზებულია, თუ არა როგორც ფონური ინფორმაცია, რომელსაც დაეფუძნება პროექტის მიზანი და დიზაინი?			
შეესაბამება, თუ არა პროექტი შესაბამისი საერთაშორისო საფინანოს ინსტიტუტის/ევროკავშირის/საქართველოს კანონმდებლობას გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, შრომითი უსაფრთხოების და სხვ. სექტორებში?			
პროექტის ამოცანებში განსაზღვრულია, თუ არა გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა?			

პროექტის გენდერულად ნეიტრალური ამოცანები, რამდენად ემყარება ფაქტებსა და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ არგუმენტებს?			
ქალებისა და კაცების საჭიროებები და პრიორიტეტები რამდენად არის გათვალისწინებული სპეციფიური ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრულ ქმედებებში (მათ შორის სოფლის, ქალაქის მაცხოვრებელთა სპეციფიური მახასიათებლები)?			
განსაზღვრულია, თუ არა ქმედებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის მიზნების შესახებ ქალებისა და კაცების ინფორმირება? ქალებისთვის ინფორმაციის მიწოდების სირთულის შემთხვევაში (კულტურული, ეთნიკური თავისებურებები), დაგეგმილია, თუ არ სპეციალური ქმედებები ამ სირთულეების გადასალახად?			
ცვლის, თუ არა არსებულ გენდერულ როლებსა და პასუხისმგებლობებს პროექტში ქალებისა და კაცების თანაბარი ჩართულობა?			
დაგეგმილია, თუ არა პროექტით არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა?			
შეფასებულია, თუ არა როგორც ქალებთან, ასევე კაცებთან მიმართებაში პროექტის მოკლევადიანი სარგებელი ან ზემოქმედება, აგრეთვე ხანგრძლივვადიანი შედეგები?			
განხილულია, თუ არა დაუგეგმავი უარყოფითი ზემოქმედებისა და შედეგების შესაძლებლობა როგორც ქალებთან, ასევე კაცებთან მიმართებაში?			
შეფასებულია, თუ არა ე.წ. გენდერულად ნეიტრალური ამოცანების ხანძგრლივვადიანი შედეგები?			
შემუშავებულია, თუ არა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები ხანგრძლივვადიანი გენდერულად სენსიზიტიური შედეგებისა და/ან სარგებლის შეფასებისთვის?			
არსებობს, თუ არა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები ქალების და კაცების მონაწილეობის შესაფასებლად გადაწყვეტილების მიღების პროცესში?			
შემუშავებულია, თუ არა სქესობრივად სეგრეგირებული გაზომვადი ინდიკატორები, რათა შეფასდეს ქალებისა და კაცების როლი დაგეგმილ საქმიანობებში (ბენეფიციარები, დასაქმებულები და სხვ.)?			

აღწერს, თუ არა საპროექტო დოკუმენტაცია მექანიზმებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სოციალურ-ეკონომიკური, გენდერული, გარემოსდაცვითი, კულტურული უფლებების დარღვევის შემთხვევაში? (მაგ. სახალხო დამცველი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების მექანიზმები, სასამართლო და სხვ.)			
ინტეგრირებულია, თუ არა პროექტის დოკუმენტაციაში მსგავსი პროექტების განხორციელების საუკეთესო პრაქტიკა?			
პროექტის წინასაპროექტო და საზოგადოების მონაწილეობის ეტაპის ანალიზი	**დიახ**	**არა**	**შენიშვები**
შეტანილია, თუ არა პროექტში ცვლილებები, საზოგადოების მონაწილეობის ეტაპზე წარმოდგენილი შენიშვნებისა და კომენტარების საფუძველზე?			
პროექტის მონიტორინგი/შეფასება	**დიახ**	**არა**	**შენიშვები**
პროექტის მონიტორინგის/შეფასებისთვის გამოიყენება, თუ არა შემუშავებული გენდერულად სენსიტიური ინდიკატორები?			
ხელმისაწვდომია, თუ არა პროექტის განხორციელების/მონიტორინგის/შეფასების ანგარიშები ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებისთვის, ქალებისა და კაცებისთვის?			
პროექტის განმახორციელებელი იხილავს, თუ არა მონიტორინგის ანგარიშებს მოწყვლად ჯგუფებთან, ქალებსა და კაცებთან?			
პროექტის განმახორციელებელი ითვალისწინებს, თუ არა საკითხებს რომლებიც წამოიჭრება მოწყვლადი ჯგუფების, ქალებისა და კაცების მიერ?			
აფასებს, თუ არა პროექტი, გენდერულად სენსიტიური ინდიკატორების სტატუსს, პროექტის დასრულების შემდეგ?			

2. კითხვარი პროექტების მართვაში გენდერული ინტეგრაციის ხარისხის შეფასებისთვის

ეს კითხვარი შემუშავებულია რათა დაგვეხმაროს პროექტების მართვის სხვადასხვა ასპექტებთან მიმართებაში გენდერული ზემოქმედებისა და ინტეგრაციის ხარისხის შეფასებისთვის. ამ სექციაში შეფასდება კომპანიის გენდერული პოლიტიკა, იძულებით განსახლებასთან და მშენებლობასთა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემები,

2.1 პროექტის განმახორციელებელი კომპანიის პოლიტიკა

კომპანიის პოლიტიკა	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
გააჩნია. თუ არა კომპანიას გენდერული პოლიტიკა?			
გააჩნია, თუ არა კომპანიას პოლიტიკა სექსუალური შევიწროვების შემთხვევების გადაჭრისათვის?			
უტარდებათ, თუ არა კომპანიის თანამშრომლებს გენდერული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები?			
შემუშავებულია, თუ არა ღონისძიებები, რაც დაეხმარება ქალებს აიმაღლონ თავისი კვალიფიკაცია და/ან დაიკავონ წამყვანი/ მმართველი თანამდებობები?			
თანაბრად არიან, თუ არა წარმოდგენილი ქალები და კაცები კომპანიის მმართველ ორგანოში?			
ღებულობენ, თუ არა ქალები და კაცები თანაბარ ანაზღაურებას ერთი და იგივე დონის პოზიციებზე?			
ეყრდნობა, თუ არა სამუშაოზე ქალისა თუ კაცის დაქირავება არადისკრიმინაციულ მიდგომას?			
პროპორციულია, თუ არა ქალებისა და კაცების შემცირება შტატების შემცირების შემთხვევაში?			
შეუძლიათ, თუ არა თანამშრომლებს დაარსონ პროფკავშირი?			
ღებულობენ, თუ არა ქალი თანამშრომლები მონაწილეობას პროფკავშირის მოღვაწეობაში?			

2.2 მიწასთან და იძულებით განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები

მიწასთან და იძულებით განსახლებასთან დაკავშირებული კონსულტაციები	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
ეწყობა, თუ არა კონსულტაციები მისაღებ დროსა და ადგილას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქალების, კაცების, ასევე მოწყვლად ჯგუფების მონაწილეობა?			
იგეგმება, თუ არა გარკვეული კომპენსაცია ეკონომიკური განსახლების, რაიმე რესურსზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის, ოფიციალური ან არაოფიციალური სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში?			
თანაბარია, თუ არა კომპენსაციები ქალებისა და კაცების, მოწყვლადი ჯგუფების შემთხვევაში?			
ფიზიკური განსახლების შემთხვევაში ეწყობა, თუ არა კონსულტაციები მასპინძელ თემებთან რომ ეს ხალხი განსახლებული იქნება მათი თემის/საკუთრების ახლოს?			
განსახლების გეგმა	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
შემუშავებულია, თუ არა განსახლების გეგმა?			
გეგმის შემუშავებისას მიმდინარეობს, თუ არა კონსულტაციები დაზარალებულ მოსახლეობასთან, მათ შორის ქალებთან?			
არსებობს, თუ არა თანაბარი შესაძლებლობები ქალებისა და კაცებისთვის ახალი პროფესიების ათვისების საქმეში (რაც დაეხმარებათ ახალ ადგილას სამუშაოს მოძებნაში)?			
იძულებითი განსახლების გეგმის შესრულების მონიტორინგისას, ექცევა, თუ არა ყურადღება ქალების მიერ წამოჭრილ პრობლემებს?			
არსებობს, თუ არა ოფიცერი ან ორგანიზაცია, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გენდერულ საკითხებთან მიმართებაში, მათ შორის სექსუალურ შევიწროებაზე, ხელმისაწვდომობა სერვისებზე, უთანასწორობა სამუშაო ადგილზე და ა.შ.			

განსახლების ადგილები	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
აქვთ, თუ არა ნანახი ქალებს ყველა სოციალური წრიდან მომავალი საცხოვრებელი ადგილი და თანახმანი არიან, თუ არა აქ ცხოვრებაზე?			
აქვთ, თუ არა შესაძლებლობა იძულებით განსახლებულებს ამოირჩიონ საცხოვრებელი ადგილი სხვადასხვა ალტერნატივებს შორის?			
არსებობს, თუ არა ახალ ადგილას ხელმისაწვდომობა ინფრასტუქტურაზე (გზები, გადასასვლები, საღამოს განათება და სხვა.)?			
არის, თუ არა ახალი ადგილი იზოლირებული, რათა არ წარმოიქმნას გეტოს ჩამოყალიბების რისკი?			
ახალ ადგილას არსებული კულტურული გარემო უთანაბრდება, თუ არა ძველ ადგილას არსებულ გარემოს გენდერულ კონტექსტთან მიმართებაში?			
ახალი საცხოვრისის პირობები	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
არის, თუ არა ახალ ადგილას ცხოვრების პირობები მისაღები? (მაგ. საკმარისია ადგილი დიდი ოჯახებისთვის, სანიტარული პირობები კარგია, არსებობს ხელმისაწვდომობა ენერგიაზე და სხვ)?			
მისაღებია, თუ არა საცხოვრებელი გარემო გარემოსდაცვითი თვალსაზრისით? (მაგ. ხომ არ არის ახლო განლაგებული მსხვილი დამაბინძურებელი ქარხნები, ნაგავსაყრელები და სხვ.)			

2.3 მშენებლობის ზემოქმედების შეფასების კითხვარი

გარემოს დეგრადაცია	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
ექნება, თუ არა უარყოფითი ზემოქმედება მშენებლობას გარემოზე და ადგილობრივ მოსახელობაზე (ხმაური, მტვრით დაბინძურება, სასოფლო სამეურნეო მიწების, წყლის რესურსების დაბინძურება და სხვ)?			
აქვს, თუ არა ამ ნეგატიურ ზემოქმედება განსხვავებული შედეგები ქალებისა და კაცებისთვის?			
ბიომრავლაფეროვნება და ხელმისაწვდომობა ბუნებრივ რესურსებზე	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
ექნება, თუ არა მშენებლობას უარყოფითი ზეგავლენა ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე?			
ახდენს, თუ არა გასხვავებულ ზემოქმედებას ქალებზე და კაცებზე?			
აქვს, თუ არა მშენებლობას უარყოფითი ზეგავლენა დაზარალებული მოსახლეობის შემოსავლებზე და რაციონზე? (მაგ. ეკოტურიზმი, არამერქნული რესურსის შეგროვება) მაგ. ხშირად ქალები აგროვებენ სამკურნალო ბალახებს, როგორც ოჯახისთვის ასევე გასაყიდად.			
ქმნის, თუ არა მშენებლობა ბარიერებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოფლის მეურნეობის სავარგულებთან, ბუნებრივ რესურსებთან (მდინარე, ტბა, ტყე, საძოვარი) ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით?			
სოციალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების მოშლა	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
მშენებლობის შედეგად, ხომ არ ხდება კომუნალური სერვისების (ელექტროობა, წყალი, ნარჩენების მართვა და ა.შ) შეზღუდვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილება?			
ხომ არ მოქმედებს ეს ცვლილებები უფრო მკვეთრად ქალებზე ვიდრე მამაკაცებზე?			

მიმდინარეობს, თუ არა კონსულტაციები ამ პრობლემებზე როგორც ქალებთან, ისე კაცებთან?			
ეფუძნება, თუ არა ახალი კომუნალური რეჟიმები ან ტრანსპორტის ახალი გრაფიკი ქალების და კაცების განსხვავებულ საჭიროებებს?			
იწვევს, თუ არა მშენებლობა შეზღუდვებს გზებზე მაგ. სასწრაფო დახმარების მანქანებისთვის, ან ტროტუარებზე ბავშვებიანი ქალებისთვის და ინვალიდებისთვის?			
შემუშავებულია, თუ არა საკოორდინაციო გეგმა რაც უზრუნველყოფს ამ შეზღუდვებისა და შეფერხებების დროულ აღმოფხვას?			
ოჯახის/თემის რისკები და სარგებელი	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
ექნებათ, თუ არა ქალებს და კაცებს სამშენებლო სექტორში დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები?			
გაზრდის, თუ არა დისპროპორციულად შემოსავლებს ქალებისა და კაცების შემთხვევაში?			
გაიზრდება, თუ არა ქალთა ეკონომიკური მოწყვლადობა ფასების და შემოსავლების უთანაბრობის ზრდის შემთხვევაში?			
მოსალოდნელია, თუ არა საოჯახო პრობლემების ზრდა (მაგ. ბავშვებზე ზრუნვის განაწილებაში უთანაბრობის კიდევ უფრო ზრდა, მუშებში რომლებიც მუშაობენ ცვლებად შეიძლება გაიზარდოს დეპრესია, ალკოჰოლიზმი, ჯანმრთელობის პრობლემები)?			
მშენებლობა უქმნის, თუ არა პრობლემას სოციალურ ინტეგრაციას და საზოგადოებრივ ღირებულებებს? მაგ. ძირითადად მამაკაცებისთვის შემოსავლების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს აზარტული თამაშების, პროსტიტუციის, ბავშვებზე და ქალებზე ძალადობის ზრდა და ა.შ.			

მუშათა ბანაკები	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
გამოიწვევს, თუ არა უარყოფით ზემოქმედებას მუშათა ბანაკის შექმნა, სადაც მუშები იქნებიან ან სხვა რეგიონებიდან, და/ან სხვა ქვეყნებიდან? მაგ. ცნობილია, რომ თუ მუშათა ბანაკებში მხოლოდ მამაკაცები არიან ოჯახების გარეშე, შეიძლება გაზარდოს სექსუალური შევიწროება ადგილობრივ თემებში, პროსტიტუცია და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები			
მიიღებენ, თუ არა მუშები დამოუკიდებელ სამედიცინო დახმარებას?			
ხომ არ გამოიწვევს სამედიცინო მომსახურეობით მოსარგებლეთა ზრდა სამედიცინო დაწესებულებებს მომსახურეობის ხარისხის და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის გაუარესებას?			
შეუძლიათ, თუ არა ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებებს უზრუნველყონ სერვისები გაზრდილ მოთხოვნაზე, ისეთ დაავადებებთან მიმართებაში, როგორიცაა სქესობრივად გადამდები დაავადებები, ან რეგიონისთვის ახალი, უცნობი დაავადებები? მაგ. მშენებლობებისას საქართველოში ხშირად შემოჰყავთ თურქი, ჩინელი, ინდოელი და პაკისტანელი მუშები, რაც წარმოადგენს ახალი დაავადებების გაჩენის რისკ ფაქტორს და მნიშვნელოვანია რომ სამედიცინო დაწესებულებებს ჰქონდეთ ამ პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობები.			

3. ენერგეტიკის სექტორის პროექტის გენდერული ზემოქმედების შეფასების კითხვარი

ამ კითხვარის მიზანია სპეციფიურად შეაფასოს ენერგეტიკის პროექტის გენდერული ზემოქმედება ქალებზე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე, რამდენად ხელს შეუწყობს ენერგიაზე ხელმისაწვდომობის ზრდასა და ენერგო სიღარიბის შემცირებას, სიღარიბის შემცირებას და ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე. კითხვარი სექტორ სპეციფიურია და ის გამოყენებული უნდა იყოს ზემოთაღნიშნულ კითხვარებთან ერთად.

ენერგეტიკა	**დიახ**	**არა**	**შენიშვნები**
ითვალისწინებს, თუ არა პროექტი ელექტროენერგიის ახალი წყაროებიდან ენერგიის მიწოდებას და/ან ენერგომომსახურეობის ხარისხის გაზრდას სოციალურად დაუცველი სოფლის მოსახლეობისთვის ?			
ჩატარდა (ან იგეგმება), თუ არა კონსულტაციები დაზარალებულ მოსახლეობასთან დაგეგმილ ენერგოპროექტებთან მიმართებაში (მაგ. მაღალვოლტაჟიანი გადამცემი ხაზი, თბოელექტროსადგური და სხვ).			
განსაზღვრულია, თუ არა ადეკვატური ანაზღაურება ქალებისა და კაცებისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან სოფლის მეურნეობით? თუ ახალი გადამცემი ხაზი გადის მათ სასოფლო სამეურნეო ნაკვეთებზე, რაც ამცირებს მუშაობის დროს.			
დაკავშირებულია, თუ არა ენერგოგენერაციის წყაროების და დისტრიბუციის საწარმოების ტარიფების განცალკავება და პრივატიზაცია დამატებით ფინანსურ ხარჯებთან სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის?			
მიმდინარეობს/დაგეგმილია, თუ არა დენზე ტარიფების ზრდა?			
შემცირდება. თუ არა ენერგო-სიღარიბე?			
ექნება, თუ არა პროექტს უარყოფითი ზემოქმედება ისტორიულ და/ან კულტურ მემკვიდრეობაზე?			
შეესაბამება, თუ არა პროექტი მოსახლეობაში არსებულ დასაქმების მოლოდინს?			

გამოიწვევს, თუ არა წიაღისეული საწვავის მოპოვება უარყოფით ზემოქმედებას ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონეზე?			
უზრუნველყოფილია, თუ არა დასაქმებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ქალებისა და კაცებისთვის?			
მომზადებულია (ან განსაზღვრულია), თუ არა საწარმოს დახურვის გეგმა და იყო თუ არა ის განხილული ყველა დაინტერესებულ მხარესთან?			
ითვალისწინებს, თუ არა საწარმოს დახურვა კომპენსაციების გაცემას, შემოსავლების ალტერნატიული წყაროების გაჩენას, განათლებასა და პერეკვალიფიკაციას ადგილობრივი მოსახლეობისთვის?			
რამდენად სრულად არის (იქნება) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული საწარმოს დახურვის რისკებთან, მათ შორის ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებების, სახიფათო ნარჩენების განთავსების, შენობებისა და სხვა ინფრასტრუქტურის ჩამოშლის რისკები, შახტების დახურვის და სხვა?			
ხდება, თუ არა რესურსების არალეგალური მოპოვება მიტოვებული ან დახურული ობიექტებიდან? (მაგ. დახურული ჭაბურღილიდან, ქვანახშირის შახტიდან და ა.შ)			

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ენერგეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების გაუმჯობესება; ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის განეული საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ, საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს “დედამიწის მეგობრების” საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციასთან; მწვანე ალტერნატივა 2008 წელს დაარსებული კოალიციის “გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის” წევრიცაა. 2010 წელს მწვანე ალტერნატივას ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე მიმართული კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განეული წარმატებული საქმიანობისათვის.

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39ბ IVსართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
www.greenalt.org